თავსა უფლად

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
ყოველთ ესრეთ გაიგონეო!
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.

მეცა ვიყავ მოქადული,
ვიდრე ჩემად მქონდა გული:
ჭირი ვერად შემიპყრვიდა,
აშიყთ მტანჯვი სიყვარული.

თუ ვინ ვნახი ფერ მიხდილი,
შვენებისდა მონად ქმნილი, დ
ვსთქვი: თუ კაცსა ვითა შვენის
გული ესრედ უძლურ-ლბილი!

მაგრამ ჩემიც სულის ძალა
ერთმან წამმან სრულად ჰსცვალა:
გნახე, და მყის შენმა სახემ
შემიპყრა და შეცამსჭვალა

მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი:
ჯაჭვი დამსდვა მონებისა,
კისრად ვიღე და დავდუმდი.

მაშინ ვიგრძენ მეყვსეულად
სისხლი ცეცხლებრ აღგზნებულად:
ცრემლიანმან და მოხრავმან
ვეღარ ვიცან თავი სრულად.